საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 01635995

17/06/2022

მოქალაქე ანა მაისურაძეს

ელექტრონული ფოსტის მისამართი: foi+request-611-9b70aa18@askgov.ge

ქალბატონო ანა,

2022 წლის №1578554 განცხადების პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში, მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით. ამასთან, აღნიშნული კოდექსის მუხლები არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად მეურვის მიერ არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, მონაცემების დამუშავება კონკრეტულად მეურვის მიერ არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების შესახებ სამინისტროს საინფორმაციო ბანკში დაცული არ არის.

ამასთამ, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა საქართველოს პროკურატურა, ხოლო ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. შესაბამისად, ბრალდებულ/დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი
თამთა ჩალაძე